



## გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 26 აპრილის №705/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი "i-ECO" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი მსგავსია მადრიდის შეთანხმების ოქმით კომპანიის „SAMSUNG ELECTRONICS CO., LTD“ (მისამართი: 416, Maetan-dong, Yeongtong-Gu, Suwon-Si, Gyeonggi-Do, KR), სახელზე მე-9 კლასის მსგავსი საქონლისათვის რეგისტრირებულ და საქართველოზე გავრცელებულ ნიშნისა „eco“ (საერთაშორისო რეგისტრაციის №871265, რეგისტრაციის და გავრცელების თარიღი 21.03.2005). ეს ყოველივე ქმნის ნიშნებს შორის აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას, რის გამოც, განცხადებულ ნიშანს „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განცხადებულ ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე.

აპელანტი კომპანია „ბიქი ფოტონ მოტორ კო., ლტდ“ არ ეთანხმება გასაჩივრებულ ბრძანებას შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტის განმარტებით, სიტყვიერი ჩანართი „ECO“ არ არის მთავარი და სახასიათო, რაც განმასხვავებელუნარიანობას სძენს ან ერთ ან მეორე ნიშანს. ეს ჩანართი გამოიყენება უამრავ ნიშანში და აქვს ხოლმე უფრო სარეკლამო დანიშნულება საქონლის ეკოლოგიურ სისუფთავეზე მითითებისა. ამ საყოველთაოდ გამოყენებადი წინსართის თუ ბოლოსართის სხვადასხვა ნიშნებში არსებობა არ უნდა გახდეს მათი ურთიერთდაპირისპირების საფუძველი, თუ რა თქმა უნდა ნიშნებს მთლიანობაში სხვა რაიმე სახასიათოც გააჩნიათ. აპელანტის პოზიციით, ნიშნებში მთავარია ვიზუალური მხარე. ეს ორი ნიშანი ვიზუალურად სრულიად სხვადასხვანი არიან. დაპირისპირებულ ნიშანს გააჩნია მკვეთრად გამოხატული, აღქმისათვის წამყვანი გრაფიკული მხარე (მცენარის ფოთოლი, ფერები და სხვ.). განცხადებული ნიშანი კი უბრალოდ შავ-თეთრი, სტანდარტული ლათინური შრიფტითაა შესრულებული. რაც შეეხება ფონეტიკურ მსგავსებას, დაპირისპირებული ნიშნის სიტყვიერი ნაწილად რეგისტრირებულია მხოლოდ „ECO“ და ქლერს როგორც „ეკო“, ხოლო განცხადებული ნიშანი (ინგლისურად)

ქლერს როგორც „აი-ეკო“, ამიტომ ისინი ისმინებიან საკმაოდ განსხვავებულად. აპელანტის მითითებით, შესაძლოა ექსპერტმა მიიჩნია, რომ დაპირისპირებულ ნიშანში თუ კარგად მოვებნით თითქოს დამატებით კიდევ შეიმჩნევა სტილიზებული ასო „e“, ამიტომ მისი წაკითხვა უნდა მოხდეს, როგორც „იეკო“, მაგრამ დაპირისპირებული საერთაშორისო ნიშნის რეგისტრაციაში მისი მფლობელის და საერთაშორისო ბიუროს მიერ მითითებულია მხოლოდ „ECO“. აპელანტის პოზიციით, თუ „საქპატენტი“ ამ საკითხს მაინც ასე მიუდგა, მაშინ იბადება კითხვა, თუ როგორ მოახდინა „საქპატენტმა“ ამ დაპირისპირებული ნიშნის რეგისტრაცია, მაშინ როცა არსებობდა კიდევ უფრო ადრინდელი რეგისტრაცია M199911523R1 სიტყვიერი ნიშნისა “IVECO” მე-7 კლასში, მით უფრო მათი ქლერადობა კიდევ უფრო მსგავსია. რაც შეეხება სემანტიკურ მსგავსებას. არც განცხადებული და არც დაპირისპირებული ნიშნის სიტყვიერ ნაწილებს ჩამოყალიბებული, რაიმეს ზუსტად აღმნიშვნელი აზრი არცერთ ენაზე არ გააჩნიათ, ამიტომ ისინი ვერც შინაარსობრივად შეიძლება ჩავთვალოთ მსგავსად. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აპელანტი ითხოვს საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2013 წლის 26 აპრილის საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ №705/03 ბრძანების ბათილად ცნობას და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისათვის „i-ECO“ (საიდ. №67597/03 IR 1115671) დაცვის მინიჭებას საქართველოში საქონლის სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

კოლეგია ვერ გაიზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „i-ECO” (საიდ. №67597/03 IR 1115671) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „eco” (IR 871265) წარმოადგენს აღრევაძვე მსგავს სასაქონლო ნიშნებს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია, როგორც ვიზუალური, ისე ფონეტიკური თვალსაზრისით. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ვიზუალურად, რადგან როგორც განცხადებული, ისე დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი შესრულებულია სტანდარტული ლათინური ასოებით. მართალია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და სიტყვიერ აღნიშვნასთან ერთად ასევე შეიცავს გამოსახულებას, კერძოდ ლურჯ მართკუთხედში თეთრ ფერში ჩაწერილ სიტყვიერ აღნიშვნას „eco” და მწვანე ფოთლის გამოსახულებას, მაგრამ ნიშნებს შორის არსებობს იმდენად დიდი ფონეტიკური მსგავსება, რომ აღნიშნული გამოსახულება ვერ სძენს ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა საქონლის მწარმოებლის მიმართ. ორივე სასაქონლო ნიშანში ძირითადი დატვირთვა მოდის სიტყვაზე „eco” და განცხადებული ნიშანი მთლიანად შეიცავს დაპირისპირებულ ნიშანს. განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები მსგავსია ფონეტიკურად, რადგან განცხადებული სასაქონლო ნიშანი ქართველი მოხმარებლის მიერ გამოითქმის როგორც „აი-ეკო”, ხოლო დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი, როგორც „ეკო”, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის სასაქონლო ნიშნების აღრევისა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობას. განცხადებულ სასაქონლო ნიშანში დამატებით „i” ასოს არსებობა ვერ სძენს ნიშანს იმ დონის განსხვავებას, რომ არ მოხდეს სასაქონლო ნიშნების აღრევა და მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. მსგავსია ასევე, განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების მე-9 კლასის საქონლის ჩამონათვალიც, რაც კიდევ უფრო მეტად ზრდის ნიშნების აღრევის შესაძლებლობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგიას მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ადგილი აქვს „სასაქონლო ნიშნების შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ”

